

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ოქმი N 15

ქ. ლანჩხუთი

1 აგვისტო, 2011 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა რევაზ ჩიტინძე – მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზვიად აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები“ თავმჯდომარე მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე.

არ ესწრებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ წილოსანი.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გოგუაძე, გამგებლის მოადგილე ნუგზარ ლლონტი, მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნინო მშვიდლობაძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფოსი ზაზა ქავზინაძე, გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის უფროსი იოსებ ჩხაიძე, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტინძემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, რევაზ ჩიტაძის, მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დამისამართებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

3. სოფლის პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ჩიტაძე/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, რევაზ ჩიტაძის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტისა და 132 მუხლის საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარე მოვალეა წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე რ. ჩიტაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ბიუროს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დამისამართებასთან დაკავშირებით ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის შესახებ“ საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტაძემ აღნიშნა, რომ ტერიტორიულ ერთეულებში უკვე დაწყებულია სამუშაოები დამისამართებასთან დაკავშირებით, მხოლოდ გვიმბალაურის ტერიტორიულ ერთეულშია დამთავრებული ეს პროცესი, სადაც ქუჩების რაოდენობა შეადგენს ცამეტს.

გამგებელმა გაა გოგუაძემ აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს სკოლების დამისამართების საკითხი, რათა სრულად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესები. ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ჩატარებისათვის საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებების ჩატარება, რაც ძირითადად განპირობებულია ლიკვიდირებული ობიექტების ნუმერაციაში არსებული უზუსტობებით.

სხდომის თავმჯდომარე რ. ჩიტაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ბიუროს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება:

1 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 5 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მუნიციპალიტეტის გამგეობამ (გ. გოგუაძე) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოადგინოს საკრებულოს აპარატში 2011 წლის 5 აგვისტომდე.

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით „სოფლის პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფის ანგარიშის შესახებ“ ინფორმაცია გააკეთა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის

უფროსმა იოსებ ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ობიექტებიდან 24 ობიექტი უკვე ჩაბარებულია, ორი ობიექტი მზადაა ჩასაბარებლად, 10 ობიექტი არ არის დაწყებული, თუმცა არ არის დარღვეული სამუშაოთა დაწყებისა და შესრულების ვადები. გასარკვევია 2 ობიექტის, კერძოდ ხაჯალიის მშენებარე სკოლის ტერიტორიის და ქვიანის ცენტრის კეთილმოწყობის საკითხი. აღნიშნული პროგრამიდან 15 ობიექტის შესრულების ვადად განსაზღვრულია აგვისტოს ბოლო, 15 ობიექტისა– სექტემბერი, 26 ობიექტისა– ოქტომბერი, ხოლო 4 ობიექტისა ნოემბერ–დეკემბერი. მისივე განმარტებით სამუშაოებს აწარმოებს 34 ინდ. მეწარმე, ამ ეტაპზე დასაქმებულია 108 პირი, ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობა კმაყოფილია შესრულებული სამუშაოების ხარისხით.

საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჩიტიძემ დაავალა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის უფროსს იოსებ ჩხაიძეს ორაგვეში სტადიონის მშენებლობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში მოახდინოს მიწის ნაკვეთის დათვალიერება და მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ჭყონაგორაში ახალგაზრდული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო არსებული სავაჭრო ობიექტის სახურავის შეცვლა და მეტალო პლასტმასის კარ–ფანჯრების ჩასმა. სათანადო თანხის უკმარისობის გამო იცვლება მხოლოდ შენობის სახურავი, რის გამოც მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე დავით ჩხაიძემ აღნიშნა, რომ აცანის მოსახლეობა მწვავედ აყენებს საკითხს დამეწყრილი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის თაობაზე. ზემდგომი ორგანოებიდან მოვლინებული კომისია დაინტერესდა მხოლოდ ნაპირსამაგრი სამუშაოებით, დღემდე გაურკვეველი რჩება დამეწყრილი გზის აღდგენის საკითხი.

საკრებულოს ბიუროს წევრების მიერ სხვა წინადადებები წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ არ დაფიქსირებულა.

„სოფლის პროგრამების მიმდინარეობის თაობაზე გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის, არქიტექტურისა და საპროექტო სამსახურის უფროსის იოსებ ჩხაიძის ინფორმაცია საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ იქნა ცნობად.

სხვადასხვა

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **გია გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 31 აგვისტოს ჩატარდა შეხვედრა „ანდამატში“ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან რამაზ ნიკოლაიშვილთან, საგზაო დეპარტამენტისა, მგფ-ისა და მედიის წარმომადგენლებთან, სადაც მოსმენილი იქნა ინფორმაციები სოფლის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებით. ასევე განხილული იქნა საკითხები:

- ლესის ცენტრში მოძრაობის ორმხრივი დაბალანსების მიზნით ოზურგეთი-ლესის ახალი გზის მშენებლობის გამო ლესის ცენტრში წრიული მოძრაობის აუცილებლობის შესახებ.
- ხაჯალიაში ახალი სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორც ტრასაზე, ასევე რკინიგზაზეც (შესაძლებელია მიწისზედაც) გადასასვლელის მოწყობის აუცილებლობის შესახებ.
- აკეთის გზის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით მისი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

გამგებელმა **გია გოგუაძემ** განმარტა, რომ სოფელ ქვიანში ყოფილი მაღაზიის ტერიტორიაზე ბაზრობის მოწყობასთან დაკავშირებით საკითხის გადაწყვეტის მიზნით სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს უფროსის გოჩა კანკავას მიერ მოხდება აღნიშნული ტერიტორიის დათვალიერება, ვინაიდან იგი არის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

რევაზ ჩიტძე

საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნ. მიძიგური

თანაშემწე:

დ. დოლიძე